K 773/1

ა. მანწავა.

ძველ ბერძენია

ქ. ტფილისი გამომც. „განათლება“

1925

899.962.1.092

ი. მანწკავა

K 115

ქოლა ლომთათიძე

(კრიტიკული ეტიუდი)

ეროვ.-2019-4456

ტფილისი
1925

821.353.1(092.ლოძთიანი ქ.) 821.353.1.09

ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის მე-2 სტამბა, ლენინის ქ. №

მთავლიტი № 982. ტირაჟი 2.000.

წინასიტყვაობა

ჭოლა ლომთათიძე ჩვენი ახალი დროის მწერლობაში ფრიად დიდი ფიგურაა. თუ დღემდი იგი დავიწყებული იყო ყველასაგან და მკითხველი საზოგადოების მასსამ არც კი იცოდა მისი არსებობის შესახებ არაფერი, ამის მიზეზი არა მარტო ქართული წიგნის უიღბლო ბედია და ჩვენი დაუდეგრობა, არამედ ის მძიმე და რთული მუშაობა, რომელიც ჩვენი ხალხის საკუთარმა მხრებმა გადიტანა ამ 25 წლის განმავლობაში.

ამ განსაკუთრებულ პირობებს, ცხადია ჰქონდა არსებითი გავლენა, როგორც საერთოდ ჩვენი კულტურის განვითარების, ისე ქართული წიგნის ბედზე.

თორემ სხვა ფრივ არ შეიძლება აიხსნას ის დიდი დანაშაული, რომელიც მიგვიძღვის ამ ადამიანის წინაშე.

იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა ჭოლა ლომთათიძის თხზულება. საზოგადოებაც დიდი წყურვილით ელოდება მის გამოსვლას. ამ მოლოდინში არის უთუოდრაღაც თავისებური წინაგრძნობა.

და მართლაც საკვირველებაა, როცა ჭოლა ლომთათიძე 25 წლის განმავლობაში ჩაკეტილი, დამტვერილ არქივიდან გადმოდის და დგება ყაზბეგის, ვაჟას, ილიას, აკაკის, ნინოშვილის და სხვათა გვერდით.

ჩემი მიზანი არაა ამ მოკლე მიმოხილვაში ვრცლად შევეხო ჭოლა ლომთათიძის მხატრულ შემოქმედებასა და პიროვნულ დახასიათებას.

მე შევეცადე მომეხაზა მხოლოდ ის მთავარი მომენტები, რომლითაც ხასიათდება ჭოლას ძვირფასი მხატრობა.

რამდენად ეს ამოცანა შესრულებულია, იმდენად მიზანიც მიღწეულია უთუოდ.

დაბოლოს დიდ მადლობას ვუცხადებ ს. თავართქილაძეს, რომელმაც თავს იდვა ამ ბროშურის გამოცემა.

ტფილისი 1925 წ. 20 ივნისი

ი. მ.

ჭოლა ლომთათიძე

„Das glücklichste Wert, et Wird verhönt Wenn der Nören ein Schiefohr ist“*).

გოეთე.

მეოცე საუკუნის დასაწყისში ქართულმა პროზამ უთუოდ მიაგნო იმ დიდ და მეტად საგრძნობ სიმაღლეს, რომლის გამზირში მთელი სიცხადით მეტყველებს, არა მარტო ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ახალი იერი, ახალი ღმერთით დართობა და ახალი ყოფნის დაბადების მოლოდინით ანთება, არამედ ის საკაკობრიო მართალი იდეები, რომლით გატაცებამ, ჩვენ მოუღლელ სულში ასე გააძაფრა ბრძოლის წყურვილი.

მეოცე საუკუნის დასაწყისი ჩვენი ერის ცხოვრებაში, უთუოდ გეომეტრიული პროგრესიით აღმავალი ხაზია. რა უყოთ თუ აქა იქ ირიბი ნიუანსები მოსჩანს ამ პროგრესიაში. იგი მაინც ვერ სცვლის მდგომარეობის ფაქტიურ არსებას.

---

*) ყოველ მოხერხებულად თქმულ სიტყვას დასცინიან უთუოდ თუ მოსაუბრის სმენა უწესრიგოთას მოშლილი.

ქართული მხატვრული შემოქმედება (პროზა, პოეზია, მხატვრობა) მთელი მეცხრამეტე საუკუნის მანძილზე ეროვნულ თავდასხმის ბრძოლებს იგერიებდა და ამ პერიოდის შემოქმედების ფონიც ამ სიბრტყეს არ გასცილებია.

ყველაზე უფრო მკვეთრი ფიგურა აქ ყაზბეგია უთუოდ, ყაზბეგი, რომელიც კავკასიის უღელტეხილში სდგას გაპირული ხანჯლით მოიული ფიცით და ქედმოუხრელი ვაჟკაცობით ებრძვის ველიკოდერჟავნიკულ იმპერიალიზმს.

სულ სხვაა მეოცე საუკუნე. აქ იხსნება ეს ასპარეზი და სრულიად სხვა გვარ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე.

სოციალისტური იდეებით გატაცებული ქართველი ხალხი მთელი რუსეთის იმპერიის მოძრაობის ავანგარდი ხდება და გადაუჭარბებლად უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ წარმოებული მუშაობა მეტად ნაყოფიერი იყო.

ამის თავდებია 1905 წლის რევოლუციის ბრძოლები, რომლის უმძიმესი ნაწილი ჩვენი ხალხის საკუთარმა ბეჭებმა გადაიტანა.

1905 წლის რევოლუციაში დამარცხებული ჩვენი ხალხი გამარჯვებულად გრძნობს თავს, რადგან ამ რევოლუციამ ნაწილობრივ გაბზარა ის ტირა-

ნიული მართველობის ფორმები, რომელიც ათეული წლეების სიგრძეზე სდევნიდა და საზრჩობელას ბოძებზე ასამარებლებდა მშრომელი ხალხის ინტერესების დამცველთ და თავისუფალ აზრს.

და ამ დამარცხებამ სრულიად ვერ შექმნა სასოწარკვეთილება და პესიმისტურად განწყობა, როგორც რუსეთში. პირიქით აქ იყო დიდი ენტუზიაზმი და განუტეხელი იმედი უკეთესი მომავლისა და ეს დარჩა ბოლომდე.

ამ 25 წლის განმავლობაში ჩვენ ისტორიის ბორბალს ხარბად ავეკიდეთ და თუ თუ ბევრი ვერ გავაკეთეთ, ყოველ შემთხვევაში დავიწყეთ ფრიად სერიოზული და საქმიანი მუშაობა.

ჭოლა ლომთათიძე უშუალო მონაწილე იყო ამ რევოლუციის. მისი უდიდესი რომანტიკოსი და ენტუზიასტი.

და იგი სატუსაღოს ოთხი კედლის სიმუნჯეში გამომწყვდეული, სიკვდილის უკანასკნელ წუთთან გაყრამდი, ბოლომდე ისეთივე რომანტიკოსი და ენტუზიასტი დარჩა.

ჭოლას დაუდგრომელი, პროტესტანტული სული ვერ ეგუება არსებულს. მასში არაფერი არაა მისაღები მისთვის. და ებრძვის იგი მას მთელი არსებით, ებრძვის. და ამ ბრძოლაში მან არ იცის არა-

ვითარი კომპრომისი იგი, ამაყია თა ქედ მოუხრელი, მისი რწმენა ფოლადისებრ მაგარია და გაუხრელი. და ჭოლა სდგას ამ აზიდულ ბრძოლების სიმაღლის მწვერვალზე, საიდანაც სისწორით ისახებიან ჩვენი ყოფნის ტრაგიული მომენტები.

და ჭოლა სრულიად განსაკუთრებული ხედვით უდგება ყველაფერს. პოლიტიკაში ის ეძებს შინაგან ადამიანის პსიხოლოგიას, საზოგადოებაში ადამაანის სოციალურ სახეს, ბუნებაში სულს, სულს როგორც მოძრავ დასაწყისს.

ჭოლა ლომთათიძის შემოქმედების დიაპაზონი ეროვნულ და ინტერნაციონალური მიჯნები ვითარდებიან. აქ ეროვნული მომენტი აყვანილია საკაცობრიო მარადიულ სიმაღლემდე ეს იმიტომ, რომ ჭოლა ქართული მიწის ნოყიერ ნიადაგზე სდგას როგორც ვაჟა, ყაზბეგი, აკაკი, ილია და სხვები. ჭოლა სდგას ამ ნიადაგზე ფეხმაგრად და მიტომაც არის, რომ იგი შეუდარებელია, მარადიული, წარმტაცი, მომხიბლავი, მუდამ ახალი და სხვა ნაირად მეტყველი.

I

მეოცე საუკუნეში ჩვენი მხატრული შემოქმედება ახალი იდეებით ამეტყველდა. ეს ფრონტი უთუ-

ოდ ეგ. ნინოშვილმა გახსნა პირველად, ჯერ კიდევ 80-90 წლეებში. მას მოყვა მთელი პლეადა. ამ პლეადაში სრულიად დამოუკიდებლად სდგას ჭოლა ლომთათიძე.

ყველაზე უფრო სასტიკი და ავი ბედი ჩვენში ხვდა ჭოლა ლომთათიძეს, როგორც მწერალს. ჭოლა ერთი უშესანიშნავესი სიძვირფასეა ქართულ მხატვრულ შემოქმედებაში.

საქ. სოც. დ. მუშ. პარტიის ერთი ხელმძღვანელთაგანი მისი ანგარო და თავდადებული მუშაკი. რუსეთის სათათბიროს წევრი. თავისუფლების და რევოლუციის უდიდესი ენტუზიასტი, დიდი რევოლიუციონერი, მაგრამ ჭოლა ამ მხრივ არ უნდა დაფასდეს. ჩვენთვის ჭოლა არაა საინტერესო, როგორც პარტიის წევრი, როგორც სათათბიროს დეპუტატი და სხვადასხვა... ალბათ პარტიის ისტორიკოსი ან მემატიანე იტყვის ამაზე. ჩვენ გვაინტერესებს ჭოლა, როგორც პოეტი, ხელოვანი და შემოქმედი.

ჭოლა ლომთათიძე ჩვენს მხატვრულ შემოქმედების პანთეონში სდგას, როგორც განუმეორებელი ლეგენდალობა და სიძვირფასე, როგორც ციკლოპიური საკრალობა და აწყვეტილი ქარტეხილის დაუდეგარი კივილი.

ჭოლა რამდენადმე ენათესავება მადამ სტალსა და ჰენ. ჰეინეს, მაგრამ ჭოლა ერთსა და მეორეზეც გაცილებით მაღლა სდგას.

სტალი და ჰეინი უთუოდ ხასიათდება პროტესტანტული სულით, მოზღვავებული ტემპერამენტით და მდიდარი განცდებით, მაგრამ ჭოლას ყველა ამაებთან აქვს საოცარი სიღრმე, უცნაური მიწვდომა შინაგანი მუსიკა და თავისებურობა. ჭოლას ისე ეხერხება ადამიანის შინაგან მეობაში ჩაძრომა და ამ შინაგან მეობის ყველა ღრმა და სათუთ მოძრაობების გამოცემა როგორც არავის. ამ მხრივ მსოფლიო ლიტერატურაში მხოლოთ დოსტოევსკის შეიძლება შევადაროთ ჭოლა.

თავისუფლების წყურვილით ანთებული, სიმართლის და ჭეშმარიტების ძიებით გატაცებული, რევოლუციის უდიდესი რომანტიკოსი, მიწიერი ყოფნის უდიდესი ენტუზიასტი ყველა ჯიშის ძალადობის და ტირანიის შეურიგებელი, პროტესტანტი მაშინდელ არსებულ ხელისუფლების კანონების, პროტესტანტი პარტიის, პროტესტანტი ყველას მიმართ, ასე მესახება მე ჭოლა.

ასეთია იგი.

ასეთი დიდი ენტუზიასტი და ჭეშმარიტი პოეტი ქართულმა პროზამ არ იცის კიდევ. მეტი სხვა

ერის მწერლობაშიო იშვიათად შეხვდებით ჭოლასებურ პროზის ოსტატსა და ჯადოქარს.

ჭოლამ იცის რაღაც უბრალო და უცნაური სიტყვის აკვიატება, მაგრამ საოცრება ისაა, რომ ამ რაღაც უბრალო და უცნაურ სიტყვაში იგი ჰკვეთს უმაღლეს განცდასა და უდიდეს ჭეშმარიტებას. საგნებისა და მოვლენების დაფარული საიდუმლოება და შინაგნობა ხელსახეობით იშლება აქ. აქ გულგაფატრულია საგნისა და მოვლენის საკრალური ღვედები. აქ გადალახულია ყველა შეუძლებლობანი, აქ მიღწეულია ყველა შესაძლებლობანი.

ჭოლას აქვს უცნაური ხედვა და მისნური მიწვდომა, მაგარი კუნთები და მჭრელი ინტუიცია, ჯადოქრული აღქმა და თავისებური მეტყველება. ამ მხრივ სრულიად საოცარი და თავისებურია ჭოლა.

სიტყვიერ შემოქმედეების ქრონოგრაფიიდან რამდენი არ როგორი მწერალიც არ უნდა დაასახელოთ შეუძლებელია, ჭოლასთან მას რაიმე არსებითი ნათესაობა ან მახლობელობა ჰქონდეს.

შეიძლება ვინმემ კნუტ ჰამსუნსა და ჭოლას შორის შეეცადოს ერთგვარი ნათესაობის აღმოჩენას, მაგრამ ამ მხრივ ყოველგვარი ცდა უმართებულო იქნება. უმართებულო რადგან ჰამსუნის შემოქმედების იდეალი სულ სხვაა, ვინემ ჭოლასი. ჰამსუნისათვის

მიწიერი ყოფნა მირაჟი და ფანტასტიური დალანდებაა, ჭოლასათვის კი ალეთოლოგიური რეალობა და უკანასკნელი სიმართლე. ჰამსუნი ყოფნის ფანტასმაგორიულ ქაოტიურობაში იკარგება, ჭოლა კი ყოფნის უკუღმართობასა და უსამართლობაში ეძებს უმაღლეს მიზანსა და უკანასკნელ სიმართლეს.

ჭოლა ლომთათიძის მხატვრული შემოქმედება ესაა ალეოლოგიური რეალობის, როგორც არსებულის უაღრეს აღქმა და მიწვდომა. ერთის მხრივ და მეორეს მხრივ მარადიულ გარდამავლობის უმაღლესი განცდა და შემეცნება. ჭოლა ნუმენებისა და ფენომენების სამყაროს განიცდის თანაბარი ხელსახეობით, მაგრამ ამავე დროს მთელი არსებითობით და სისავსით. აქ ალეთოლოგიური რეალობა, მარადიულ დაუსრულებლობის ფონზე იშლება სრულიად სხვა გვარად...

და აქ ჭოლას ხედვის წინ ესახება ყოფნის მთელი უკუღმართობა, სიავე, საშინელება, სიმახინჯე, უცნაურობა, უფსკრულები... და აქ ყველაფერი განცდილია უაღრესი გულწრფელობით და კეთილშობილებით.

კითხულობთ ჭოლას და თქვენ მასთან ერთად გრძნობთ, განიცდით ყველაფერს.

ჭოლას უნებლიეთ შეყავხართ მის ქვეყანაში და თქვენ ღელდებით შურისძიებით ივსებით, შეურიგე-

ბელი და პროტესტანტი ხდებით, სტირით, იცინით მასთან ერთად.

ყოფნა ასე მწვავედ ბევრს არ განუცდია და არ უგრძვნია ჯერ. და ასე არავინ ამეტყველებულა მასზე, როგორც ჭოლა.

ბაირონმა და ბარათაშვილმაც იგრძნო და განიცადა ყოფნის სიმწვავე მაგრამ ისინმა ბრძოლის ასპარეზი დასტოვეს და განდგენ ცხოვრებისაგან.

ჭოლა კი იბრძვის სიცოცხლის უკანასკნელ წუთთან გაყრამდი, იბრძვის ამ ჭაობსა და სიბინძურეში. იბრძვის და ელოდება ახალი ყოფნის დაბადებას, როგორც ქრისტე.

„გელოდები შენ!
მოდი, მოდი, ჩემო მეგობარო, მოდი, მნახე!
გელოდები მოდი!
და ვიცი კი რომ არაოდეს ეს არ შეიძლება
მოხდეს...
და მაინც გელოდები

. . . . .

. . . . .

და ვიცი კი; რომ შენ ვერ მოხვალ ჩემთან.
ვიცი და მაინც გელოდები!“

ჭოლა გრძნობს, რომ იგი ვერ მოესწრება მის მოსვლას, რადგან ეს ბრძოლა გადაიტანს მას. მა-

გრამ მაინც ელოდება. მაინც ელოდება, რადგან იგი მოვა. გვიან, მაგრამ მაინც მოვა.

„შენ არ მოხვალ არაოდეს, მაგრამ ჩემს ნატვრაში, რომელიც ჩემი სევდაა,
შენ ზიხარ მუდამ, ჩემო მეგობარო“! (იხ. უსათაურო).

ყოფნის უკულმართობამ აწამა ჭოლა, ყოფნის სიმახინჯემ გააპროტესტანტა იგი, მწარე სინამდვილემ, მიუღებელმა და ბინძურმა სინამდვილემ ფიზიკურად გასტეხა იგი.

დამეხილი ბედი და დაუსრულებელი წამება, მაგრამ უკეთესი მერმისის განუტეხელი იმედებით ანთებული ჭოლას პროტესტანტული სული, გადახიდულ გზა-ჯვარედინზე სდგას სანიშნოდ, როგორც სიგნალი ახალი ყოფნის შემომქმედ ძალების მოსაზღვავებლად.

„ჯანაბას ყველაფერი ასე ვამბობ მე! ყველა სინათლეს დავაქრობ
ჩემს უკან და მხოლოდ წინ, მხოლოდ მომავლისაკენ
დავიწყებ ცქერას.
მხოლოდ წინ! მხოლოდ წინ“!.. (იხ. უსათაურო)

ასეთია ჭოლას ატეხილი და შადრევანივით მჩქეფარე ოპტიმიზმი, ოპტიმიზმი, რომელმაც არ იცის

არავითარი საზღვარი და მიჯნა. ოპტიმიზმი წინ, მხოლოდ წინ გადაულახველ სიმაღლეების დასაპყრობად რომ მიისწრაფვის, ოპტიმიზმი რომელიც სცოცხლობს განუტეხელი იმედით, განუტეხელი რწმენით, საუკეთესო მერმისის გარდაუალ დაბადების დარწმუნებით.

ჭოლას სული იწვის, ვით ანთებული საკირე ახალი ყოფნის დაბადების მოლოდინში... იგი ეპილეპტიკივით განშორდება ურდულით დარკინულ საპყრობილის კარებს და მიყვება ფიქრს, ფიქრს აზღვავებულს, და ასე სწერს თავის საკუთარ სულის ძვირფას მისტერიებს.

ჭოლა ლომთათიძის მთელი ცხოვრება ეს იყო, რაღაც უცნაური და ლეგენდალური მარტვილობა... და ჭოლა ხელებ გაკრული საპატიმროს დახურულ კარებით, წამების ჯვარით მხლებზე, მიყავთ ინკვიზიტორებს მიჰყავთ და მაინ ამბობს:

„და დამერწმუნე ვარდით ფენილ შენს ცხოვრებაში მოვკვდები მაინც

არ გაგიცვლი ეკლიან გზასა“!

და ჭოლა არ გასცვლის ეკლიან გზას, რადგან მან იცის როგორც ნაზარეველმა რისთვის იტანჯება და კმაყოფილია იგი ამ ბედით.

მან იცის რომ ყოველი დიდი მიზანი სიყვარულზე გაიფურჩქნება. და ეკლის გვირგვინი, რომელსაც

თავზე დაადგამენ გოლგოთაზე მიმავალს ეს მატებს მას ძალას. ეს აფოლადებს სულს მებრძოლისას, ეს რომელიც სულმდაბალთათავის გესლია და შხამი. და იგი ისევ ფიქრებს გაყვება, ფიქრებს მოზღვავებულს, ფიქრებს უსივრცოს.

> „ოჰ, ეს ფიქრები, ეს ფიქრები, როგორც ისარნი წვერ მოშგამულნი მიმოჰქრიან გულის სივრცეში და გრძნობს რა შხამსა სისხლში შერთულს სხეულში შერთულს მინდა გამოვთქვა ჩემი ტანჯვა მწარე სიტყვებში“ (იხ. კვლავ ფიქრი ფიქრი. ლექსი პროზად)

ჭოლა სწერს სისხლით, ძარღვებით, ნერვებით. ჭოლა სწერს მთელი გატაცებით, მთელი არსებით, ცეცხლით, ენტუზიაზმით.

ჭოლას მთელი ცხოვრება ესაა საშინელი და გაუთავებელი წამება, რადგან ასეთია ყოფნა ტვირთ მძიმეთა და დამაშვრალთა. ჭოლა ხომ მისი სული და გულია, მისი წინამძღოლი, მისი ავანგარდის ერთი საუკეთესო და თავგანწირული, შეუდრეკელი და ქედმოუხრელი მებრძოლი.

და მას უნდა სთქვას ყველაფერი, რასაც განიცდის, რასაც გრძნობს, მაგრამ ჭოლა გრძნობს სიტყვის სიმწირეს, როგორც გოეთე.

მაგრამ სიტყვებო საოდავო ჩემო სიტყვებო,
არა თქვენ
არა ხართ ჩემთა ფიქრთა გამომხატველი
თქვენ პყრობილი ხართ მძლავრ ბორკილით
ჩემსა ტუჩებში“ (იხ. კვლავ ფიქრი ფიქრი).

იმდენად დიდია, იმდენად ღრმაა ის შინაგანი მოძრაობა მისი განცდებისა და სულის, რომ ჭოლა ეგზომ დიდი ოსტატი და ხელოვანი, ჭოლა ჯადოქარი და თილისმა სიტყვის გრძნობს მის სიმწირეს, მის უსუსურობას.

K 273/1

ჭოლა გრძნობს, რომ სიტყვა მსუბუქია, რომ იგი ვერაა ყოვლობის დამტევი საბურავი. სიტყვა თავის მოცულობაში ვერ იტევს იმას, რასაც ჭოლა განიცდის, რასაც ჭოლა გრძნობს.

ენა არ მეტყველებს ისე, როგორც უნდა მეტყველებდეს. ვერ ამბობს, ვერ სახავს იმას, რაც ჭოლას დაუდეგარ სულს და აღელვებულ განცდებში იმარხება.

„შენ სიყვარულო ამა ქვეყნად მიზნად სახულო შენ ერთად ერთო საფუძველო ჩვენი იმედის შენ მაშინ მოხვალ როცა ვით ზღვა გავიწმინდებით? ოჰ! თუ ეგრეა ბედშავ ჩვენ დღესა დიდხანს მოგვიწევს თურმე შენი ცდა მოლოდინი დიდხანს სულ დიდხანს შორს იქნება

ნათლით მოსილი ციურ სიწმინდით გამსჭვალული არსება შენი! ძუძუ მსუქანი მოუცია შენთვის მაგრამ მაგრამ უბადრუკო ჯერ მის გემო არ გვიწვენია ნუ ნუ აგაღებ ხელს უძლურთა შენსა მონატრულს. ნუ დაიბრუნებ მშვენიერო მთვარისა სხივსა, ნუ გვითვლი ცოდვართ რომ ამ ღარიბ საუკუიეში ღარიბნი ვიყოთ მისი შვილნი მისი ნაზარდნი. ჰო მოხვალ ვიცი, მაგრამ როდის როდის იმედი, როდის იქნება დაღალულნი ჩაგეკრათ გულში!" (იხ. ზღვა. ლექსი პროზათ)

განუტეხელი იმედი უკეთესი მომავლისა და მასში გარდუალად დარწმუნება აი რა ასაზრდოებს სიცოცხლის უკანასკნელ წუთთან გაყრამდი ჭოლას ოთხკედელში დატყვევებულ დაუდეგარ სულს.

II

ჭოლა ლომთათიძემ მთელი თავისი ახალგაზდული ხანმოკლე სიცოცხლე ციხეებში გაატარა. აქ ქმნის იგი თავის გენიალურ ნაწარმოებს რა უბედურია ტუსაღობა, აქ საჭიროა პირდაპირ ეობის მოთმინება და მერე ეს ხომ მთელი წამებაა გასათუთებულ ნერვებისათვის, და ამ პირობებში ჭოლა ერთწუთს არ კარგავს და იგი სწერს, სწერს და ამ

წერაში მას ავიწყდება რომ ის სატუსაღოშია... ისე გაიტაცებს და ავიწყებს მას თავისი გმირების ბედი თუ უბედობა, ყველაფერს რომ საპყრობილე სხვა რამ ჰქონია.

ჭოლა ლომთათიძეს ყოფილი რუსეთის ვეებერთელა იმპერიის თითქმის ყველა საპატიმროს კედლები იცნობს: ლენინგრადი, მოსკოვი, ხარკოვი, სევასტოპოლი, ასტრახანი, სარატოვი, ბათომი, ახალციხე, ქუთაისი და ბოლოს მეტეხი ეს ისტორიული სიმუნჯე და ხილული ქორონიკონი, აი სად დაიწურა იმ ადამიანის სიცოცხლის დღეები, რომელსაც სწყუროდა სიცოცხლე,რომელსაც სწყუროდა ბრძოლა.

ციმბირის ყინვიანმა და სუსხიანმა დღეებმა, უილაღო მზის სხივებით მონათლულმა ქვეყანამ. უზარმაზარ უშნო კუბოს მსგავს „მოსაჭვვიანებულმა სახლებმა“ მხოლოდ ხორცი სძლიეს ამ დიდ ადამიანში. ის გრძნობს რომ მისი სხეული დაბერდა ეს ფიქრი ერთხელ შეუძვრა თავში და არწმუნებს მას ამაში.

„ცივი ქარისაგან მოწყვეტილი ფურცლები უიმედოთ დაწრწიან ჰაერში, უმიზნო ადამიანივით გზა კვალ აბნეულნი ტრიალებენ ხან აღმა ხან დაღმა საითაც ქარს მოესურვება, და არ იციან საით მიადგებიან, საით წავლენ ნელი წვიმა სისინით სცემს ჩემს ფანჯარაში, ტირის ბუნება, ტირის ჩუმათ, წყნი-

რად, მაგრამ გულწფელი და დამაღონებელი ტირილით კი ტირის ის! და მეც მინდა ტირილი, მეც მინდა ცრემლები, მეც მინდა ავქვითინდე ისე წყნანარ, ისე ჩუმათ, მაგრამ ისე გულწველად და დამაღონებლათ კი მინდა ვტიროდე. კვდება ბუნება, მაგრამ ნეტავი მას, ბედნიერია ასეთი სიკვდილი!

... ის რომელმაც შეასრულა თავისი დანიშნულება, რომელმაც გაზაფხულზე მიიღო თესლი და შემოდგომაზე ნაყოფი მოიტანა, რომელმაც ერთი ათად გადაიხადა მიბარებული ტალანტი. დაე ის მოკვდეს. მან შეასრულა თავისი მოვალეობა, მაგრამ მე კი, მე რა ამით?.. მე რომელსაც ჯერ არაფერი არ გამიკეთებია, რომელიც მხოლოდ ეხლა ვიწყებ სიცოცხლეს, რომელიც ამდენ ხანს თესლის მისაღებათ ვემზადებოდი მე რა ნება მაქვს მოვკვდე ჯერ ახალგაზრდა როდის ვიყავი, რომ მოხუცის აზრები შემპარვია თავში?"

ჭოლა გრძნობს გულთმისანივით სიკვდილს, იცის რომ დიდი ხნის სიცოცხლე არა აქვს მას, იცის მაგრამ არ უნდა დაიჯეროს და ისე დამაჯერებელი კილოთ აჯერებს თავის თავს „მე რა ნება მაქვს მოვკვდე ახალგაზრდა როდი ვიყავი, რომ მოხუცის აზრები შემპაცვია თავში" და მართლაც ჭოლას არ უგრძვნია ახალგაზრდობა. მას საამისოდ არ ეცალა.

როცა იგი ოთხიკედლის გულშემაღონებელ სიმუნჯის და უთავბოლო ერთფეროვნების გარეშე იყო, მაშინ მას შემოქმედებისთვისაც არ ეცალა. იგი მუშაობს თავდავიწყებით, გატაცებით, მან არ იცის არ არის პირადი ცხოვრება. თავის თავისთვის ზრუნვა.

1906 წ. გურიიდან ჭრლას გზავნიან სტოგოლმის პარტიულ ყრილობაზე 1907 წ. მას ირჩევენ რუსეთის სათათბიროს დეპუტატად.

ჭოლა აქაც დატვირთულია საქმეებით. თვითმპყრობელი გარეკავს სათათბიროს ჭოლას აპატიმრებენ.

კვლავ ციხე, ტუსაღობა, კვლავ ოთხი კედელი გულშემაღონებელი სიმუნჯით, ერთფეროვნებით, გულსაკლავი და დაუსრულებელი სიმარტივით.

სატუსაღოში უბრუნდება ჭოლა შემოქმედებით მუშაობას. აქ ეშვება ჭოლას მოზღვავებული სტიქონი, ვით ატეხილი სტიქმა შემოქმედების უძირო სივრცეში, სადაც არ მოსჩანს არც მიჯნა არც საზღვარი და ყოველიფერი დროსა და სივრცის დაუსრულებელ პარალელებში იკარგება.

აქ სწერს ჭოლა თავის სულის მარტივობის უკვდავ მისტერიებს „თეთრი ღამე“, „ძეკაცისა“, „სახჩობელას წინაშე“, „აღრევა სულისა“, „საპყრობი-

ლეში“, „პირველი მაისი“ „აღსარება“ და სხვა და სხვა...

დიდის გაჭირვებით იგი ახერხებს გამოგზავნოს ნაწერები გარეთ და მერე როგორ ეპყრობოდა ჭოლას ამ დიდი ხელოვანისა და შემოქმედების უკვდავ ნაწარმოებს მაშინდელი ქართველი ინტელიგენცია?

ამ მხრივ ფრიად საინტერესოა მისი კერძო წერილიდან შემდეგი ადგილი: „ეხლა ერთი დიდისაგან დიდი სათხოვარი. ყველა ჩემ ძველ ნაწერებს ვაგროვებ და ხელ ახლა შეუდეგი იმათ გადაწერა შესწორებას, რომ **ჩვენი რედაქციების ყიზილბაშური ხელი** არ აჩნდეს იმათ, თუ ვინიცობაა ოდესმე გამომცემელი გამოუჩნდა.

ვერ ჩავიგდე ხელში მხოლოდ ერთი, რომელსაც სახელად ქვია **„სახრჩობელას წინაშე“**. ამ მოთხრობის ბეჭდვა დაიწყეს 1907 წ. შემოდგომაზე და როგორც იქნა დაასრულეს 1908 წ. ზამთარში, თვეში ბეჭდავდენ ერთსა თუ ორ ფელეტონს, ასვრილად, არეულად, რომ ერთიანად გაექარწყლებიათ მისი გავლენა.

ეს მოთხრობა ყველას მირჩევნია, ხოლო თუ შეუსწორებელი დარჩა გადაბეჭდვა იმისი შეუძლებელია. იმედი მქონდა ტფილისში გადმოსვლის ნებას მომ-

ცემდენ და ვფიქრობდი წერაკითხვის საზ-ბის წიგნთ საცავში მეშოვა ეს ნომრები გადასაწერათ. ეს მოლოდინი არ ასრულდა—უარი მითხრეს ეხლა ჩემი თხოვნა ასეთია: **მონახო ვინმე გადამწერი და გაურიგდე—რამდენათ გადასწერს ამ მოთხრობას.** ნომრები წერ. კით. საზ-ში იქნება. ამაშიც შენ უნდა დაეხმარო, ესე იგი მონახვაში. როცა ღირებულებას გაიგებ მომწერ და სულ რომ სადილის ჭამას დავეთხოვო კვირაში რამდენიმეჯერ, ამ ფულს გამოგიგზავნი... შეგიძლია თუ არა ამისრულო ეს? მეტის მეტად დამავალებ თუ შეიძლებ, თუ არა და აღარ ვიცი ვის მივმართო"...*)

ამაზე მეტი ბარბაროსობა განა შეიძლება კიდევ?.. ჩვენი გაზეთის რედაქტორები სანაგვე ყუთში ყრიდენ მის მოთხრობებს ვითომდა ადგილის უქონლობის გამო და კორესპოდენციებით, ჭორიკანობით, პარტიული კინკლაობით უწყალებდენ გულს საზოგადოებას. ჩვენი გაზეთის რედაქტორები „ყიზილბაშურად" ამახინჯებდენ და რყვნიდენ მის მოთხრობებს.

გამომცემლები ვილაც ვილაცეების უნიჭო ლექსობიას და იდიოტურ ოხუნჯობას სცემდენ—წიგნე-

*) იხ. წერილი მინაწერი ს. რემონიძისადმი. 1915 წ. 23 აგვისტო ქ. სარატოვი.

ბათ და ჭოლა ლომთათიძე ეს ტიტანიკი ქართული პროზისა და შემოქმედებმთი გამძლეობის. ჭოლა ლომთათიძე ეს უმაგალითო ამეტეტყველება ჩვენი უბედობის დანავსულ ბედზე. ჭოლა ლომთათიძე ეს გადმოჭრილ სტიქმის ნერვიული ბობოქრობა. ჩვენი ელამი ინტელიგენციისათვის უჩინარი და შეუმჩნეველი დარჩა.

რამდენი ძვირფასი მოთხრობები დაიღუპა ვინ იცის. „ძეკაცის“ რამდენივე თავი ჯერხნობით დაკარგულად უნდა ჩაითვალოს.

და ბოლოს გვიან მაგრამ მაინც ერთმა ქართველმა დიდმა პუბლიცისტმა იგრძნო ჭოლას შემოქმედების უკვდავი და გენიალური ტალანტი და დაგვიანებით, მაგრამ მაინც პირველმა დააფასა იგი. ეს მაშინ როცა ჭოლა აღარ იყო, ეს მაშინ როცა ჭოლას დაუდეგარი სული და ატეხილი ტემპერამენტი, ფრთა მოტეხილი, დამსხვრეული, უმოძრაო და გაცივებული, საკაცის დამუნჯებულ უტყვ კედლებში განისვენებდა.

III

ჭოლა ლომთათიძე წინასწარ ჯერ კიდე 1902 წ. გრძნობდა თავის უბედურობას, თავის სიცოცხლის სისასტიკესა და სიავეს. ამ წლის თარიღითა დაწე-

რილი მისი პატარა მოთხრობა „სიცრუე“, სადაც საოცარი სისწორით მოცემულია მომავალი ჭოლა.

კითხულობთ „სიცრუეს“ და თქვენ წარმოგიდგებათ ჭოლას ცხოვრება... საავადმყოფო, ნერვიულად გლარჟის წევა, საკაცის მსგავს გამურულ საპყრობილის სილრმეში პატარა თუთუნის კვამლით გავსებული საკანი, ჭლექი, ცოლის ღალატი... მე მგონია, რომ ჭოლა როგორც გულთმისანი, როგორც უაღრესად სათუთი და მგრძნობიარე განცდების მქონე ადამიანი, ინტივიტურად გრძნობდა ყველაფერს, რაც უნდა მომხდარიყო.

... „საკვირველია, რატომ არავის ვუყვარვარ, რატომ არავის მოვწონვარ, ბუნებრივად ხომ არა მიშავს რა, ყველგან გულახდილობის, სინდისიერების და გულწველობის მოტრფიალე ვარ გახსოვს ლერმონტოვის სიტყვები;

„но ты мне душу предлогаеш,
по какой мне чорт душа твоя“

ასეა ძმაო მიადე რკინას ხელი, შენგან სითბოს აიღებს თვით კი არაფერს მოგცემს, ხალხიც ასეა: ყველაფერს იღებს თვითონ კი არაფერს იძლევა... და სწორედ აქ არის ეგიოზმი“*) (1912 წ. 7 ივნისი).

*) იხ. თეატრი და ცხოვრება № 15. 1915 წ.

საერთოდ ასეთია საზოგადო მოღვაწის ბედი, მაგრამ ქართველ საზოგადო მოღვაწის ბედზე ხომ ლაპარაკი აღარ შეიძლება... რადგან მე მგონია მას წინასწარ შუბლზე აწერია მისი უბედობა. იგი ხალხისთვის სიცოცხლეს სწირავს იგი ხალხისთვის მუშაობს და იბრძვის, ხალხი ამას ყველაფერს იღებს. ეს მას ყველაფერი უნდა, მაგრამ მასზე სახლი არ ზრუნავს. ხალხს იგი ავიწყდება. ასეთ საზოგადო მოღვაწეთა ჯგუფს ეკუთვნის ჭოლა, რომელიც წინასწარ მიტანილია სამსხვერპლოზე, რომელიც წინასწარ განწირულია...

და ჭოლა ლომთათიძე გრძნობს ყველაფერს ამას, გრძნობს.

„მე არ მეღირსება აქედან ცოცხალი გამოვიდე. დღეს ბევრი სისხლი დავაქციე... ხელები მიკანკალებს... ძლივს ვწერ, ცხადია სიკვდილი შორს აღარ არის, მაგრამ მე მისი აღარ მეშინია. გადაწერილი მოთხრობები მივიღე... რა მადლობელი ვარ ჩემო სილია, რომ თხოვნა შემისრულე ეხლა დამშვიდებული ვარ“.*)

ჭოლა გრძნობდა, ჭოლა ხედავდა, რომ იგი განწირული იყო სასიკვდილოთ, რომ მისი სიცოცხლის დღეები დათვლილი იყო.

*) იხ. ს. რემონიძისადმი მინაწერი ღია წერილი.

მაგრამ იგი არ სჩიოდა ამას, იგი არ სტიროდა ამას, რადგან ჭოლას რევოლიუციონურმა და პროტესტანტულმა სულმა არ იცის რაა იმედის გატეხა და სასოწარკვეთილება.

მან არ იცის რა შიში, გაუბედაობა, მან არ იცის სულით დაცემა და ქედის მოხრა.

„მართალი უთქვამს ვინც სთქვა: ვინც მოკვდა თავის თავს მოუკვდაო. სასაცილოა, რომ ეს გული ვერ ურიგდება ბედს, სურს ცოცხლებში ერიოს, ცოცხლებს კი არ სურს ის“*).

ჭოლა ავადმყოფი, კოხის ჯოხებით განადგურებული და სისხლისაგან დაცლილი, ჭოლა სულთ მობრძავი და სიკვდილის პირას მდგარი, ვერ ურიგდება ბედის ასეთ სასტიკ განაჩენს, რადგან ამ დასნეულებულ სხეულში სრულიად ჯანსაღი და მაგარი სულია, რომელსაც უნდა სიცოცხლე, რომელსაც უნდა ბრძოლა.

ჭოლაზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა ოჯახურმა უბედურებამ (ცოლის ღალატი) ჭოლას 1912 წ. საბოლოოდ განშორდა ცოლი, რამაც ძალიან იმოქმედა მასზე. ქალი უცხო ტომის იყო და ალბათ მით უფრო სამძიმო შეიქნა ეს განშორება.

*) იხ. ს. რემონიძისაომი მინაწერი წერილი 1911 წ. 15 აპრილის თარიღით.

ამის შესახებ საინტერესოა ჭოლას დღიურიდან შემდეგი ადგილი.

— ხ... „თუ ქალი შევიყვარე მარადის მეყვა-
ყვარება: თუ არა და ჩემთვის ქალი არ არ-
სებობს... თავისუფალიც რომ ვიყვე უცხო
ეროვნების ქალს მაინც არ შევირთავდი, რა-
დგან მასთან შეჩვევა, შეთანხმება ძნელია. მით
უფრო, რომ ყოველივე ჩემი, ნაციონალური
ძალზე მიყვარს და მისი დათმობა არ შემი-
ძლია... თუმცა ეხლა ყველას ვეკუთვნი, ყვე-
ლანი ჩემი ძმები არიან... რას უზამ ყოვლის
უძლიერეს საკვირველებას წარმოადგენს გუ-
ლი, რომელსაც თავის შიგან ყველაფერის მო-
ქცევა შეუძლია“. (1912 წ. 13/VII)*)

ჭოლას გული უძიროა, ყოვლობის დამტევი... მას ძალზე უყვარს ნაციონალური ყოველივე და მისი დათმობა არ შეუძლია, მაგრამ იგი ამავე დროს ინტერნაციონალისტია, იგი ყველას ეკუთვნის, მას ყველა უყვარს!

VI

საკითხი იმის შესახებ, შეიძლება თუ არა ჭოლა ლომთათიძე რომელიმე განსაზღვრულ ლიტერატუ-

*) იხ. „თეატრი და ცხოვრება“ № 15 1915 წ.

რულ დაჯგუფების ან სკოლის ფარგალში მოვათავსოთ უპირველ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია.

ზოგიერთები ალბათ ჭოლას, რომანტიულ ან ნეორომანტიულ სკოლას მიაკუთვნებენ...

ეს გარემოება აშკარათ იმას ნიშნავს რომ ჭოლა არაა გაგებული, რომ ჭოლას ისევ ელამი თვალებით უყურებენ.

მართალია ჭოლას ზოგიერთი მოთხრობები ხასიათდება რომანტიული ხაზებით, მაგრამ ყველა მისი ძლიერი მოთხრობები, ისეთი სითამამით და ოსტატობითაა დაწერილი, სადაც დარღვეულია ხსენებული სკოლის დამახასიათებელი ნიშანდობლობა.

ჭოლა იმდენად დიდი და თავისებური მწერალია, რომ იგი ყოველ გვარ ლიტერატურულ მინართულების გარეშე სდგას, როგორც რუსთაველი, გოეთე, დოსტოევსკი.

ვიმეორებ ინკვიზიტორობა იქნება, რომ „თეთრი ღამე"ს და „ძე კაცი"ს ავტორი, რომელიმე ლიტერატურულ სკოლის ან მიმართულების ჩარსოებში ჩავჭედოთ.

თუ ზოგიერთი მწერლები განიცდიან სხვის გავლენის და მეტად ძლიერ გავლენასაც როგორიცაა მაგ.: ბოდლერი, არ. რემბო, პუშკინი და სხვა ჭო-

ლა ამ მხრივ სრულიად თავისუფალია. იგი არავის გავლენის ქვეშ არ ყოფილა*) იგი არავის არა ჰგავს. იგი სრულიად დამოუკიდებელი და თავისებურია.

ჭოლას შემოქმედებაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს; „თეთრი ღამე“, „ძე კაცისა“, „საპყრობილეში“, „სახრჩობელას წინაშე“ და სხვა.

„თეთრი ღამის“ ფონში მოცემულია, რუსეთი რუსეთი როგორც უზარმაზარი საპყრობილე, სადაც ყველაფერი შეწუხებულია, სადაც მართალ ადამიანებს ასამართლებს ინკვიზიტორის ხელი და „მოსაჭკვიანებელ“ სახლებში აჯენს მას. სადაც დამონებულია ყველაფერი ქურდებისა და მკვლელობის მიერ.

„არსებული საზოგადოება მისი წესრიგი ჰბადებს წვრთნის ქურდს. ქურდი!.. ქურდი!.. რა საშინელი, რა დამამცირებელი სახელია ეს სახელი. ეს ადამიანი საზიზღარი ჩირქია, ეს სიკვდილის განაჩენია იმ საზოგადოებისათვის, რომელიც ქურდს ბადებს. და მე მძაგს ეს საზოგადოება მე ვებრძვი მას და ბოლომდე ვე-

*) მართალია ჭოლა ჰენ. პეინეთი იყო გატაცებული, კიდევაც სთარგმნა ჰეინე ამნ, მაგრამ კატეგორიულად უნდა აღინიშნოს, რომ არავითარი გავლენა მას ჭოლას შემოქმედებაზე არ მოუხდენია.

ი. მ.

ბრძოლები, იმიტომ რომ მე ადამიანი მიყვარს.
(იხ. თეთრი ღამე)

ასეთია კაპიტალისტური საზოგადოება და მისი წესრიგი და ყველას უნდა ძულდეს იგი, ყველა უნდა ებრძოლოს მას, **ვისაც ადამიანი უყვარს**. ასეთია ჭოლას სოციალური მორალი.

ჭოლა გამოცემის მხრივ ლირიულია. იგი სწერს რაც შეიძლება უბრალოდ, სადად, მარტივად.

აქ ყოველი სიტყვა ბუნებრივია, ყოველი წინადადება ძალ დაუტანებელი.

აქ არაა ნაძალადევი გახაზვა და ყალბი გამოთქმები, საწერ მაგიდასთან დიდი ხნის წვალების შემდეგ საწყლად დაჭერილი განცდა.

აქ არაა წინადადების მექანიკური და გაუთავებელი წყობილება. აქ არაა ყალთაბანდური და უთავბოლო აზრის მალულობია.

აქ ყოველ სიტყვაში მეტყველებს პოეტის სულის ნერვიული თრთოლა და ფოლადის სიმაგრე.

აქ ყოველი წვლიმანი განცდილია უაღრესი გულწველობის და კეთილ შობილებით. აქ მომსკდარი ნიალვარივით მოდის განცდა და სიღრმე.

აქ იწვის პოეტის განაწამები სული, როგორც დაუმცხრალი საკირე.

ჭოლას მთელი მოთხრობები სრულიად თავისებურათაა დაწერილი. ეს თავისებურობა იმაში მდგო-

მარეობს, რომ აქ გადალახულია წერის ძველი წესი, კანონი, ტრადიცია.

ჭოლა სწერს სრულიად თავისებური მანერით და ტეხნიკით. კითხულობთ ჭოლას და თქვენ აქ გხიბლავს: უწრფელესი განცდები, კეთილშობილი და სათუთი გრძნობა, უმაღლესი მიწვდომა და შინაგანი მუსიკა.

ჭოლა საოცარი სიძლიერით ახერხებს ადამიანის სულის შინაგანი და ღრმა მოძრაობანი გადმოგვცეს.

„რას იტყვით ადამიანზე, რომელიც უცებ თავზე ხელს შემოიკრავს, ყვირილს მორთავს, სასოწარკვეთილებას მიეცემა, იმიტომ რომ ორი და ორი ოთხიაო.

ასე ფიქრობდა გიორგი იმ დღეს, წინა დღითაც, ყოველთვის... და ასე ფიქრობს გიორგი ეხლაც. მაგრამ მოხდა ახირებული და მოულოდნელი რაღაც. გიორგი იძულებული გახდა ეს ანბანური ჭეშმარიტება თავისთავზე გამოეცადა და დაემტკიცებია. და პირველ წამსვე ამ შეურაცხყოფილსა და დაჭრილ ადამიანს, გიორგის გულში გვერდში ამოუდგა მეორე ადამიანი, რომელიც შესცქერის პირველის ტანჯვას, პირველის ღელვას, პირველის სულის შფოთვას, უცქერის დაკვირვებით, დიდი ცნობის

მოყვარეობით და გულგრილად. ორივე ეს ადამიანი, ერთსა და იმავე დროს იგრნო მან გულში. და ორივე შეადგენდა მას გიორგი ადამაშვილს". (იხ. ძე კაცისა)

ან და კიდევ:

„და შესცქეროდა გიორგი ორ ადამიანს თავის გულში. და ერთი იმათგანი გრძნობდა საშინელ ტკივილს და მეორე კი გულგრილათ, მშვიდათ უკვირდებოდა ყველაფერს და იმახსოვრებდა და არ ჰქონდა ერთს გავლენა მეორეზე: ერთი იტანჯებოდა მეორეს არ შეეძლო ამ ტანჯვის შემცირება და არ სცხვენოდა პირველს, რომ მეორე ასე ფათურობდა მის გულში, რომ შესცქეროდა იმის სიტიტვლეს, მის სიმახინჯეს, ორივე იჯდა ერთ გულში და ეს გული ეკუთვნოდა გიორგი ადამაშვილს"... (იხ. ძე კაცისა გვ. 248)

აქ ყოველ სიტყვაში მოცემულია განცდა.

აქ ყოველ წინადადებაში მოხაზულია სახე.

აქ ყოველ სტრიქონში გრძნობთ პოეტის სულის ნერვიულ თრთოლას და მოჭარბებულ განცდებს.

ჭოლა ახალი თაობის შვილია, რომელსაც აქვს საკუთარი მწამსი, საკუთარი იდეალი, საკუთარი ზნეობა, იგი არსებითად ეწინააღმდეგება არსებულს და ჭოლა აფურთხებს არსებულს.

„ფუი, რა ბინძურია დღევანდელი საზოგადოება! . . . . . .
აქ იყიდება სიყვარული, აქ იყიდება სინიდისი, აქ იყიდება ნამუსი და არც კი სცხვენიათ. აქ სატრფოს კოცნაც მოწამლულია, აქ უმანკო ბავშის ტიტინიც კი ვერ ალბობს გაქვავებულ გულს, ფუი რა ბინძურია დღევანდელი საზოგადოება. აქ მათხოვრები და მკვლელები იბადებიან. აქ ადამიანი ასამართლებს ადამიანს, და სატუსაღოში აგზენს და არც კი სცხვენიათ ეს! თოფებითა და ზარბაზნებით იცავენ ამ საზოგადოებას“. (იხ. პირველიმაისი)

ჭეჭმარიტად ასეთია თანამედროვე კაპიტალისტური საზოგადოება ასეთია მისი მახინჯი და კუზიანი სახე.

აი რას ებრძვის ჭოლა, თავგანწირული და განუტეხელი იმედით. თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრება უნდა გარდიქმნას ახალ საფუძველზე, ახალი მწამსით, ახალი იდეალით, ასეთია ჭოლას შემოქმედების სოციალური ფილოსოფია.

ჭოლას არ სწამს დამარცხება. მისმა რევოლუციონურმა სულმა არ იცის რა არის დამარცხება.

„არა ბიძია არ ვართ დამარცხებული ჩვენ. მოკალით ჩვენი რწმენა? მოკალით ჩვენი სიყვა-

რული? მოკალით ჩვენი თქვენდამი ზიზღი? მოკალით ჩვენი დიდი სურვილი? ტყვია რომ გულში გვარტყით ბაწარი, რომ კისერში მოგვიჭირეთ ამით მოკალით რომელიმე, რომელიმე სურვილი ჩვენი? რომელიც თქვენ არ მოგწონდათ? მაშ რათ ამბობთ გავიმარჯვეთო? ვიცანით ჩვენი თავი დამნაშავეთ და პატიება გთხოვეთ? თუ მოგვკალით და აღარ გეშინიათ ჩვენი მაშ რათ დაუკარგეთ საფლავებს სახელი, ბნელაში რათ ამოთხარეთ ორმო და მერე რათ გადაასწორეთ ის, რომ დილას არავის ეცნო აქ ვინმე დაუმარხავთო. და ერთი რამ კიდევ—როცა საფლავებს ეძებენ, როცა საფლავებზე მიაქვთ ყვავილები, როცა საფლავები უყვართ და იქ მიდიან სალოცავათ, სატირლათ შურის ძიების წყურვილის გასაძლიერებლად გეშინოდეთ თქვენ ამ საფლავების ის არ არის საფლავი დამარცხებულისა". (იხ. პირველი მაისი)

ასე ელაპარაკება ჭოლა ჯალათს ბიკტორ აგიაშვილის პირით. ამ ჯალათს, რომელმაც სთქვა რევოლუცია დამარცხდაო.

მას უნდა დაიჯეროს რომ ერთი და ორი დამარცხება თავდებია ახალი დიდი და საბოლოო გამარჯვების.

ჭოლას არ შეუძლია სხვა გვარად იფიქროს და სხვა გვარად იწამოს. იგი ჭეშმარიტი რევოლუციონერია, რომლის ნერვიულ სულს ათრთოლებს შორეულ ქვეყნის ლამაზი ზმანება და ახალი ყოფნის დაბადების გარდუალი მოლოდინი.

V

ჭოლა ლომთათიძის მხატვრული შემოქმედება ესაა ერთი მთლიანი ტილო, სადაც განსაკუთრებული პსიხოლოგიური მიწვდომითა და მხატვრული ალღოთი მოკიმულია, ეპოქის სულიერი განწყობილება, ეპოქალურ ყოფნის მთლიანი და განუკვეთელი სურათი.

ადამიანი, როგორც სოციალური რაობა, საზოგადოებრივ მასაში ადამიანი, როგორც პსიხოლოგიური თავის თავადობა და განკუთვნება. ადამიანის პსიხოლოგია და მასის პსიხოლოგია. აი რას ეძებს ჭოლა. აი ის მძიმე კვანძი, რომლის გახსნა შესძლო ამ დიდი მხატვრის გამახვილებულმა ხედვამ. არავინ ასე შორს, ასე ღრმად არ წასულა ადამიანის შინაგანობის, მის სულში. არავის ასე მიწვდომით არ მოუცია შინაგანი ადამიანის შინაგანი ბუნება.

ადამიანი რომელიც ადამიანში ზის და რომელსაც მხოლოდ დიდი პსიხოლოგის გასათუთებელი მგრძნობელობა თუ დაიჭერს.

ასეთი ენით ჯერ არვინ ალაპარაკებულა. ასეთი ენით ჯერ არავის არ უწერია. ასე უბრალოდ, მაგრამ ამავე დროს ორიგინალურად და მიწვდომით არავინ ამეტყველებულა. ჭოლა გვაკვირვებს განცდების სიუხვით, ტემპერამენტის სიჭარბით. ჭოლა გვაკვირვებს თავისი უცნაური მეტყველებით, სიღრმით. ჭოლა გვაკვირვებს სისადავით, უბრალოებით სიმარტივით. ჭოლა გვაკვირვებს თავისებური რიტმითა და მუსიკალური კომპოზიციით.

მსოფლიო ლიტერატურის ისტორიამ ძალიან ცოტა იცის ასეთი დიდი განცდების, ასეთი დიდი შინაგანი წვის მქონე ასეთი დიდი სიტყვის მისანი და თილისმა.

ჭოლა არ ჰგავს არავის, ჭოლა სრულიად თავისებურია, ჭოთა განუმეორებლობაა.

ჭოლას შემოქმედების difereutia spesitica ესაა აქტივიზმი, სისავსე და შორს მხედველობა.

აი რა ამაღლებს მას მარადიულ გარდამავლობის სიმაღლემდე. აი რა ანიჭებს მას დიდი ხელოვანისა და შემომქმედის სახელს.

ტფილისი 1925 წ. ივნისი

ის. მანწკავა.

Наук. Груз. ССР

ჭოლა ლომთათიძე

(მოგონება)

ჩვენ ერთმანეთს ბავშობიდანვე ვიცნობდით. სოფელ ბასილეთის სკოლაში ერთად ვსწავლობდით.

ის თუმცა მეოთხე განყოფილებაში იყო, მე კი მესამეში, მაგრამ ორივე განყოფილება ერთ დარბაზში იყო მოთავსებული და ამიტომ კარგად ვიცი თუ როგორ სწავლობდა ჭოლა.

სიღარიბის გამო, საკუთარი სახელმძღვანელო წიგნები არასოდეს არ ჰქონია მას, მაგრამ პირველ მოწაფედ კი ითვლებოდა.

გაკვეთილებს სკოლაში სწავლობდა: წაიკითხავდა მასწავლებელი, ახსნიდა და ჭოლამაც უკვე იცოდა.

სახლში მიგვქონდა მხოლოდ კერძო საკითხავი წიგნები და ჟურნალ-გაზეთები, რასაც გვაძლევდა მასწავლებელი მორიგეობით და სკოლაშიც გვიკითხავდა.

ზეპირად ვიცოდით მოწაფეებმა: „დიმიტრი თავდადებული“ და „თორნიკე ერისთავი“, მეხუთე განყოფილებაში „ვეფხის ტყაოსანსაც“ კი სწავლობდენ.





ფასი 20 კ.

2—

110/30

მ ი ს ა მ ა რ თ ი: ლენინის (ოლღას) ქ. № 6, წიგნის მაღაზია „განათლება“ ს. თ ა ვ ა რ თ ქ ი ლ ა ძ ე ს.

აქვე იყიდება ახლად გამოსული:

ჭოლა ლომთათიძის ორივე ტომი . . . . . 5 მ.
ს. რემონიძის მოთხრობები II წიგნი . . . . . 80 კ.
მისივე საბავშო მოთხრობები . . . . . 30 კ.